სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს

უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განმეორებით წარმოგიდგენთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე მდებარე, შპს „საგზაო"-ს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. დაგეგმილ საქმიანობაზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა №29. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის №21/3694 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები.

წერილს თან ერთვის,

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზუმე - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი ვერსია 2 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- სკოპინგის დასკვნაზე №29 რეაგირების ერთიანი ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს №21/3694 (20/07/2022) წერილით მოთხოვნილ დამატებით საკითხებზე რეაგირების ერთიანი ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერი შპს „საგზაო"-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით;
- საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები shp ფაილების სახით.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-თ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

ნანა შამათავა

შპს „საგზაო"-ს დირექტორი

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
„24" 10 2022 წ.
№ 5843

nana shamatava

Digitally signed by nana shamatava
Date: 2022.10.21 19:38:04 +04'00'